დიდი ანგარიშით...

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

”სპარტაკი” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი) 5:1 (3:0).

”სპარტაკი”: დასაევი (მიხალიჩევი), სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, გუბნოვი, მალეშკინი, კუზნეცოვი, რეზნიკი (შვეცოვი), მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, გესი.

”დინამო”: აბუსერიძე, ჟიბა (ბარათაშვილი), ჩივაძე, კერესელიძე (პაიკიძე), ფრუიძე, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელია.

მსაჯი: ვ. კუზნეცოვი (ომსკი).

”სპარტაკმა” პირველ ტაიმშივე მოახერხა ანგარიშში საკმაოდ სოლიდური უპირატესობის მოპოვება. გუნდი თამაშობდა სწრაფად, ბევრს მოძრაობდნენ ნახევარმცველები და ფორვარდები და ამის გამო იყო, რომ საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე ქმნიდნენ კიდევ რიცხობრივ უპირატესობას. თბილისის ”დინამომ” ვერაფერი დაუპირისპირა მასპინძელთა ტაქტიკას და სავსებით კანონზომიერად დამარცხდა დიდი ანგარიშით.

მე-14 წუთზე გავრილოვი-რეზნიკი-გავრილოვის კომბინაცია გოლით დასრულდა. რამდენიმე წუთის შემდეგ სიტუაცია თითქმის განმეორდა და გავრილოვმა მეორე ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში (ამჯერად მილეშკინის გადაცემის შემდეგ). შესვენებამდე მასპინძლებმა სამამდე გაზარდეს ანგარიში (ჩერენკოვი). რა თქმა უნდა, არავინ უკარგავს სპარტაკელებს დამსახურებას, მაგრამ სტუმართა დაცვისა და ნახევარდაცვის უხეირო თამაშმა ერთობ გააიოლა საქმე.

შესვენების შემდეგ შენგელიას გოლს თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანა თამაშში, მაგრამ მალე ”სპარტაკმა” ისევ უმატა ტემპს, ისევ იმატა თბილისელთა კართან სახიფათო მომენტებმა და რეზნიკმა და ჩერენკოვმა მე-60 და 61-ე წუთებზე 5:1-მდე გაზარდეს ანგარიში.

(”ლელოს” კორ.).
”ლელო”, 16 აგვისტო, 1983 წ.